ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 11-31

“ 27 ” აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში (ვებგვერდი matsne.gov.ge; 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016076) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულიქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-3 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის „გ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ.ზ) თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური;“

მუხლი 2. დადგენილებაამოქმედდეს 2016 წლის 3 მაისიდან.

საკრებულოს თავჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს ეკონომიკური პროფილის სტრუქტურული ერთეულის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაცია. ამ პროცესის დასრულების შემდეგ სამსახურის სახელი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური. აღნიშნული საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ცვლილებას. კერძოდ, მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქალაქო სამსახურის სახელწოდების შეცვლას.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ან/და საშემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისმერია

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქთბილისისმუნიციპალიტეტისმერი.